ვამტკიცებ

შპს. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“
დირექტორი: /თამარ მაისურაძე/

ბრძანება:№51[1] 03.09.2021

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

პედაგოგიური საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1.1 შპს. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“-ს პედაგოგიური საბჭოს დებულება შემუშავებულია საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ საფუძველზე.
1.2. შპს. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ს პედაგოგიური საბჭოს დებულებას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
1.3. პედაგოგიური საბჭო წარმართავს თავის საქმიანობას საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე.
1.4. ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა სკოლის ყველა მასწავლებლისათვის.
1.5. შპს. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ს სკოლის პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც გაერთიანებულნი არიან სკოლის ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი.

მუხლი 2 . ტერმინთა განმარტება

2.1.ამ დებულების მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
2.2. **პედაგოგიური საბჭო** – სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის უმაღლესი ორგანო;
2.3 **პედაგოგიური საბჭოს წევრი** -- მასწავლებელი, მასწავლებლობის მაძიებელი, რომელთანაც შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკასთან“ და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები;
2.4 **პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე** -- პირი, რომელიც სკოლაში ხელმძღვანელობს პედაგოგიურ საბჭოს;
2.5 **პედაგოგიური საბჭოს მდივანი** - პედაგოგიური საბჭოს წევრი, რომელიც 1 (ერთი) წლის ვადით აირჩევა პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობიდან;
2.6 **პედაგოგიური საბჭოს ოქმი** – ოფიციალური დოკუმენტი სადაც შესულია პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები.

მუხლი 3. პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილება

3.1 პედაგოგთა საბჭო იხილავს სკოლის მართვა- განვითარებასთან და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივ დოკუმენტს;
3.2 პედაგოგიური საბჭო დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს სკოლის სასწავლო გეგმას;
3.3 საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს სასწავლო - საგანმანათლებლო მასალას, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას
3.4 პედაგოგთა საბჭო შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო საკითხებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
3.5 პედაგოგიური საბჭო სკოლის დირქტორთან ერთად იცავს სკოლის ინტერესებს, გეგმავს სკოლის განვითარებას, განსაზღვრავს მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების ორგანიზაციის შინაარსს, მეთოდებს, საშუალებებსა და ფორმებს;

მუხლი 4 პედაგოგიური საბჭო განიხილავს:

- სკოლის მისიას;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმებს;
- ცვლილებებს შინაგანაწესში;
- სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმების;
- მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის საკითხს;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის მუშაობის შედეგებს.
- ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობასა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს;
- კლასის ხელმძღვანელების სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს;
- მოსწავლეთა სემესტრულ, წლიურ, გამოცდების საბოლოო აკადემიურ შედეგებს;
- საგნობრივი წრეების, კლუბების და სხვა სასკოლო გაერთიანებების შექმნის საკითხებს;
- მშობელთა სათათბიროს და მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობას;
- სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს;
- ახალი სასწავლო წლისთვის მზადების საკითხებს;
-

მუხლი 5 პედაგოგიური საბჭოს მუშაობა

5.1. პედაგოგიური საბჭოს სხდომები მოიწვევა სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 3-ჯერ: სასწავლო წლის დასაწყისში, I სემესტრის ბოლოს და სასწავლო წლის ბოლოს; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეული იქნას რიგგარეშე პედასაბჭოს სხდომა.

5.2. პედაგოგიური საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მდივანს ერთი წლის ვადით;

5.3. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე დასწრება სავალდებულოა მისი წევრებისათვის, პედაგოგიური საბჭოს გაცდენა არასაპატიო მიზეზით ითვლება შრომით დისციპლინის დარღვევად;

5.4. პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნას მოსწავლეთა მშობლები, საშუალო საფეხურის მოსწავლეები;

5.5. პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას სკოლის დირექტორის ან პედაგოგიური საბჭოს წევრთა 1/3 -ის ინიციატივით.

5.6.პედაგოგიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პედაგოგთა საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;

5.7. პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ ეცნობება საბჭოს წევრებს.

5.8. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ხანგრლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2-3 საათს;

5.9.პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უმრავლესობით არანაკლებ საერთო ხმების ერთ მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს.

5.10.პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულების კონტროლს უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი;

5.11. პედაგოგიური საბჭოს დღის წესრიგი, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება პედაგოგიური საბჭოს ოქმით, რომელსაც ხელს აწერს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 6. პედაგოგთა საბჭოს თავმჯდომარე

6.1. პედაგოგთა საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომლის პოზიცია არჩევითია.

6.2. პედაგოგთა საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა არანაკლებ 3 (სამი) წლის ვადით. ზედიზედ ერთიდაიგივე მასწავლებლი შეიძლება არჩეული იქნეს ორი ვადით.

6.3. პედაგოგთა საბჭოს თავმჯდომარე: წარმართავს სხდომებს, ხელს აწერს ოქმებს, ამზადებს განსახლველ საკითხებს სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

მუხლი 7 საქმისწარმოება

7.1 პედაგოგიური საბჭო აწარმოებს თავის საქმიანობას წინამდებარე დებულების თანახმად;

7.2 პედაგოგიური საბჭო აწარმოებს თავის სხდომების ოქმებს, ოქმების რეგისტრაცია ხდება სპეციალურ ჟურნალში და ინახება ადმინისტრაციულ-საკანცელარიო საქმეთა მენეჯერთან.